„ჭკვიანი“ ქალაქების პრაქტიკა მსოფლიოში; თავისებურებები და იმპლემენტაცია საქართველოში.

Smart city practice in the world; Features and implementation in Georgia.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო ადმინისტრირება (მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი) - სამაგისტრო ნაშრომი.

ხელმძღვანელი : მერაბ ლაბაძე

ავტორი : დათა მაღრაძე

თბილისი. 2024

Contents

აბსტრაქტი / Abstract 3

უკანასკნელი ტენდენციები და ახლი კონცეპტი 4

ლიტერატურის მიმოხილვა 7

„ჭკვიანი ქალაქის“ განზომილებები 11

ჭკვიანი მმართველობა 14

„ჭკვიანი ეკონომიკა“ 17

ჭკვიანი ხალხი; ჭკვიანი საზოგადოება 18

„ჭკვიანი ტექნოლოგიები“ და მონაცემთა ბაზები 20

ჭკვიანი გარემო და მობილურობა 26

ჭკვიანი ჯანდაცვა 31

გროდნო, ბელარუსი 35

ზოგადი მიმოხილვა 35

ჭკვიანი ეკონომიკის შეფასება 38

ჭკვიანი გარემოს შეფასება 40

ჭკვიანი მოქალაქისა და საზოგადოების შეფასება 42

გორისი, სომხეთი 46

ზოგადი მიმოხილვა 47

ჭკვიანი ეკონომიკის შეფასება 47

ჭკვიანი გარემოს შეფასება 50

ჭკვიანი საზოგადოებისა და კულტურის შეფასება 50

თბილისი, საქართველო 51

ზოგადი მიმოხილვა 52

ჭკვიანი ეკონომიკის შეფასება 52

ჭკვიანი გარემოს შეფასება 54

ჭკვიანი საზოგადოებისა და კულტურის შეფასება 54

დასკვნა 58

ბიბლიოგრაფია : 61

აბსტრაქტი / Abstract

Vast majority of world's population already lives or migrates in the urban areas. Day by day rural settlements are left with lesser population.

The main reason for the beginning of the process of massive urbanization is the industrial revolution, which was also added with development of the tertiary sector caused by industrialization and huge increase of its specific share in the economies of countries. The industrial revolution created new jobs in cities. It was only logical decision for the job seekers who lived in rural settlements to relocate near new job location. The influx of large masses of the population has led to the growth of the existing cities, both in terms of space and population. This trend was accompanied by the emergence of problems and gaps in the management of cities (traffic and safety, orderly collection and removal of waste, water supply and security systems, pollution, air pollution, etc.).

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე ცხოვრობს ან მიგრირდება ურბანულ ზონებში საცოვრებლად. სოფლებში და სხვა რურალური ტიპის დასახლებებში სულ უფრო ნაკლები ადამიანი რჩება.

მასიური ურბანიზაციის პროცესის დაწყების მთავარი მიზეზი ინდუსტრიული რევოლუციაა, რასაც დაემატა ასევე ამ უკანასკნელით გამოწვეული მესამეული დარგის განვითარება და მისი ხვედრითი წილის უზარმაზარი ზრდა ქვეყნების ეკონომიკებში. ინდუსტრიულმა რევოლუციამ ქალაქებში ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა გამოიწვია. რურარულ რეგიონებში დასახლებული სამსახურის მაძიებლებისთვის ლოგიკური იყო გადაწყვეტილება, რომ შეეცვალათ საცხოვრებელი და გადასულიყვნენ სამუშაო სივრცეებთან ახლოს. მოსახლეობის დიდი მასების ნაკადმა გამოიწვია არსებული ქალაქების, როგორ სივრცის (დაკავებული ტერიტორიის) ისე მოსახლეობის რაოდენობის კუთხით ზრდა. მოცემული ტენდენციის თანმხლები იყო პრობლემებისა და ხარვეზების

წარმოქმნა ქალაქების მენეჯმენტში (საგზაო მოძრაობის გამართულობა და უსაფრთხოება, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების მოწესრიგებული მოგროვება და გატანა, წყლის მიწოდების და უსაფრთხოების სისტემების გამართულობა, დაბინძურება, ჰაერის დაბინძურება და ა.შ.) (ბიბრი. 2019)

უკანასკნელი ტენდენციები და ახლი კონცეპტი

გასულ დეკადებში მოსახლეობის რაოდენობა ქალაქებში კიდევ უფრო გაიზარდა. 2007 წელს ქალაქსა და რურარულ რეგიონში დასახლებულთა რაოდებონა თითქმის გათანაბრდა (ურბანული რეგიონი - 3.36 მილიარდი, რურარული რეგიონი - 3.35 მილიარდი). 2022 წლის მონაცემებით კი ქალაქში მცხოვრებთა რაოდენობა 1.09 მილიარდით მეტია.

აღსაღნიშნავია ფაქტი რომ განვითარებულ ქვეყნებში უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს ქალაქებში, ვიდრე განვითარებადში. ასევე, იქ სადაც უფრო მაღალია საშუალო სტატისტიკური მოქალაქის შემოსავალი, იმ ქვეყანაში მით უფრო მაღალია ურბანულ ნაწილებში დასახლების მაჩვენებელი. დასავლეთ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, იაპონიაში და ახლო აღმოსავლეთში მთლიანი მოსახლეობის 80% ცხოვრობს ქალაქში.

ტენდენციების მიხედვით, სავარაუდებელია რომ 2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობის 75% იცხოვრებს ქალაქის ტიპის დასახლებებში. ქალაქში მაცხოვრებლების რიცხვის ზრდას მოჰყვება ახალი სოციალური, ტექნოლოგიური, ფიზიკური, ორგანიზაციული გამოწვევების გაჩენა. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ამგვარ გარემოებებში, ქალაქების მმართველ ინსტიტუციებსა და პირებს გააჩნდეთ ქალაქის მართვის ეფექტური და ეფექტიანი მექანიზმი. მზარდი ურბანიზაციის პირობებში წარმოიქმნება ქალაქის მართვის უფრო „ჭკვიანური“ მეთოდიკის დანერგვის აუცილებლობა.